ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N47

2024 წელი; 23 იანვარი, 11:00 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
არჩილ გორდულაძე
ლილე ლიპარტელიანი
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- ქვარა ჩართოლანი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს დირექტორის მოადგილე;
- ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე 868 კვ.მ.) მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.234.008) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. ,,ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.571) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

6. ,,ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

7. ,,ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.022) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

8. ,,ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.140.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა N34-ში, ბინა N7-ში არსებული 57.52 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.04.017.013.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N3-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.414.01.595) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-9 კვარტლის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.031.006.01.511) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N4 და N6 კორპუსებს შორის მდებარე 4 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.10.13.021.048; N01.10.13.021.049) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ: 207909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.003.036) პირდაპირი განკარგვის წესით რომიკ კაბაჯიანისთვის (პ/ნ: 01002025535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.006.078, ფართობი - 1365 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველ მუხლში მე-3 მუხლის დამატებას, რომლის მიხედვით, წესის მოქმედება არ გავრცელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ მომსახურების გაწევისას, როდესაც ისინი თავად ახორციელებენ სამუშაოებს, მომსახურების განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით, მათზე საფასურის დაკისრების გარეშე.

მომხსენებლის მითითებით, პროექტით წარმოდგენილი დათქმა ასევე ადგენს, რომ წესის მოქმედება არ გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის მონტაჟისთვის გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების დროს გაწეულ მომსახურებაზეც, რადგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით უკვე დადგენილია სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის წესი და შესაბამისად, ამ ცვლილებით დგინდება მასზე გამონაკლისი, რათა ორჯერ არ განხორციელდეს ერთსა და იმავე საქმიანობაზე დაჩქარებული წესით საფასურის გადახდა.

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. თამარ ბერუაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-2 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში შემდეგი ცვლილების შეტანას:

- ✓ ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის (შემდგომში - წესი) პირველი მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდება დამატებითი ჩანაწერი დევნილის/ლტოლვილის სტატუსის

მქონე პირებთან დაკავშირებით, კერძოდ, წესი არ გავრცელდება დევნილის/ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე/ოჯახებზე მაშინაც კი, თუ ოჯახის ერთ წევრს მაინც მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი.

მომხსენებელმა აქვე განმარტა, რომ ხსენებული ჩანაწერის მომზადება განპირობებულ იქნა იმით, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თუკი ოჯახის ერთ წევრს მაინც მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი, მას შეუძლია ისარგებლოს ზემოაღნიშნული კანონის ფარგლებში განსაზღვრული უფლებებით, მათ შორის უზრუნველყოფილი იქნეს საცხოვრებელი ფართით, რაც გამორიცხავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის გავრცელებას ასეთ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე.

თამარ ბერუაშვილმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ პროექტი ასევე ითვალისწინებს, უსახლკარო პირად რეგისტრაციის დამატებით პირობის განსაზღვრას, რომ განაცხადის შევსების დროს უსახლკარო პირად რეგისტრაციის მსურველი პირი იყოს სრულწლოვანი, აგრეთვე, ცვლილების პროექტით, დგინდება უსახლკარო პირად რეგისტრაციის გამომრიცხავი გარემოებები, შემდეგი სახით:

ა) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის გამოუცხადებლობა ა(ა)იპ-ში;

ბ) უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირის უარი თავშესაფარში საცხოვრებლად განთავსებაზე;

გ) ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას/გამოვლენისას, რომლის შედეგადაც უსახლკარო სტატუსის მაძიებელმა პირმა თავშესაფრის მიღების მიზნით, ხელოვნურად წარმოქმნა მისი უსახლკაროდ რეგისტრაციის საფუძველი, მათ შორის, ისეთი ფაქტის გამოვლენისას, რომელიც ადასტურებს პირის მხრიდან არასული ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და/ან დროებითი საცხოვრისის მისამართის, დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის შესახებ, ინფორმაციის დამალვას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, იმისათვის, რომ პირი დარეგისტრირდეს უსახლკარო პირად, ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული განაცხადის ფორმის შევსებისას, მონიშვნის ფორმით უნდა გამოხატოს თანხმობა თავშესაფრით სარგებლობასთან დაკავშირებით, ცვლილების პროექტით, წესის მე-3 მუხლს ემატება მე-2^2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, უსახლკარო სტატუსის მაძიებელ პირს შეუძლია ისარგებლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" მართვაში არსებული ლილოს მიუსაფართა თავშესაფრით (თავშესაფრით)." აღნიშნული ჩანაწერი არის ინფორმაციული ხასიათის და მიზნად ისახავს იმის დაკონკრეტებას, რომ უსახლკარო სტატუსის მაძიებელ პირს, წესის პროექტის მიხედვით, შეეთავაზება მხოლოდ თავშესაფარი და არა მაგალითად საცხოვრისი.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ პროექტით, წესის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილში შედის ცვლილება და განისაზღვრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ-ის მიერ გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ პირი აკმაყოფილებს ამ წესით და ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით გათვალისწინებულ

პირობებს, ა(ა)იპ ატყობინებს ამის შესახებ სამსახურს და სამსახური გამოსცემს ბრძანებას პირის უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული ცვლილების განსაზღვრა განპირობებულია იმით, რომ ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მართვის სამოქმედო ინსტრუქციით გათვალისწინებულია რამდენიმე დამატებითი პირობა, რომელთა შეუსრულებლობაც ხელს უშლიდა პირის უსახლკაროდ რეგისტრაციას.

მომხსენებლის მითითებით, პროექტით დამატებითი ჩანაწერი ჩნდება ორ სულიანი ოჯახების რეგისტრაციის საკითხის დაზუსტების მიზნით, შემდეგი სახით: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად, და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი (ორსულიანი ოჯახის შემთხვევაში - ოჯახის ორივე წევრი) უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის, ოჯახის წევრი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ, ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.“

დადგენილების პროექტზე საუბრის მიწურულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით აგრეთვე განისაზღვრება, რომ:

- ✓ კომისიის მიერ ოჯახის საჭიროებისამებრ ან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ შემოწმების შედეგად, კომისიის მიერ უარყოფითი რეკომენდაციის გაცემისა და მთავრობის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სამსახური გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, ვინაიდან, როდესაც უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმებს და ამასთანავე, უწყდება ხელშეკრულება ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, აღარ არსებობს უსახლკარო ოჯახის სტატუსის შენარჩუნების სამართლებრივი საფუძველიც.

თამარ ბერუაშვილის განმარტებით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან, აგრეთვე, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
3. ქვარა ჩართოლანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-3 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში" (შემდგომში - წესი) ცვლილებების შეტანას, რომლებიც მისივე განმარტებით გამოწვეულ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაიონში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე გამოკვეთილი რიგი შემთხვევების გამო, რომლებიც, წესში სათანადო ცვლილებების განხორციელების გარეშე, აფერხებენ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის დაგეგმილი სახით განხორციელებას.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, იმ ფართების ჩამონათვალს, რომლებიც არ იანგარიშება დაინტერესებული პირების საკუთრებაში, ემატება სხვა ფართების (გარდა საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსის მქონე ფართებისა) ცნება, რამდენადაც გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ჩანაცვლება მოთხოვნილ იქნა დამხმარე ფართებზე, რის მიმართაც შედეგობრივ მიდგომებს არ ითვალისწინებდა წესის შესაბამისი პირობები.

ქვარა ჩართოლანის მითითებით, პროექტის თანახმად, აღარ მოხდება, დაინტერესებული პირების საკუთრებად, საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსით რეგისტრირებული ფართების დაანგარიშება, რომელთა ფაქტობრივი მდგომარეობა არ იქნება შესაბამისობაში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ფართის დანიშნულებასთან. მისივე განმარტებით, აღნიშნული ცვლილება განაპირობა ძირითადად სარდაფისა და სხვენის ფართობების არასათანადო დანიშნულებით რეგისტრაციის მრავალმა შემთხვევამ, მაგალითისათვის: საცხოვრებელ ფართად რეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად სარდაფის დანიშნულებით გამოყენებული ფართის ჩანაცვლების პროექტში სრულფასოვნად მოქცევა, არსებითად არათანასწორ მდგომარეობაში ჩააყენებს პირებს, რომელთაც მარტოოდენ ტექნიკური თვალსაზრისით არ უსარგებლიათ ფართის სტატუსის ცვლილების რეგისტრაციის შესაძლებლობით, ამავე მიდგომამ, ასევე ასახვა ჰპოვა წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის განახლებულ რედაქციაში, რათა არასათანადო სტატუსით რეგისტრირებული ფართი არ ჩათვლილიყო პროექტის საფუძველზე მისაღებ ფართობში.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, დაყოფილი (გამიჯნული) ფართები ცალკე უფლების ობიექტად არ იქნებიან განხილულნი, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებსა და გაზიფიცირებისათვის საჭირო რეგულაციებს, აქვე დასძინა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას, პირის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთი რამდენიმე საკადასტრო ერთეულისგან შედგება, შემოთავაზებული ცვლილებით ისინი ერთიან საანგარიშო ფართობად განიხილება, საკადასტრო ერთეულების რაოდენობის მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განცალკევებული ფართი (საკადასტრო ერთეული) აკმაყოფილებს „შენობა-

ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებსა და გაზიფიცირებისათვის საჭირო რეგულაციებს.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის თანახმად, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საფუძველზე გადაცემული ფართებიდან, რომელიმეს გასხვისების შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ დააკმაყოფილებენ წესით გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნებს, გადასაცემი ფართები დაინტერესებულ პირებს დაუანგარიშდებათ საერთო ფართად და გადაეცემათ თანასაკუთრებაში.

ქვარა ჩართოლანმა ასევე დასძინა, რომ პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, მისი მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის დისპოზიციის სტილისტური და შინაარსობრივი თვალსაზრისით გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტისთვის ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-4 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე 868 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურით 115 300 (ას თხუთმეტი ათას სამასი) ლარის ოდენობით, შპს „ბახტრიონი 98-ისთვის“ გაცვლის ფორმით პრივატიზების, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტალი, N19ა-ში მდებარე 389 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, 2023 წლის 26 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა შპს „ბახტრიონი 98-ის“ საკუთრებაში, ქალაქ თბილისში,

ვაჟა-ფშაველას გამზირის I კვარტალი, N19ა-ში არსებული 389 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობისათვის საჭირო პროცედურების დაწყება, ვინაიდან, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებს ვაჟა ფშაველას I კვარტალში - N5, N7, N20 და N26 კორპუსების მიმდებარედ, სკვერის მოწყობის სამუშაოებს, ხოლო, საპროექტო ტერიტორია მოიცავს ზემომითითებული კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ამასთან, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, 2023 წლის 27 ოქტომბერს, წარდგენილ იქნა შპს „ბახტრიონი 98-ის" თანხმობა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე 868 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ეთხოვა, გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და შპს „ბახტრიონი 98-ის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შეფასება, ასევე, ინფორმაციული თვალსაზრისით ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მესამე პირის სასარგებლოდ შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და დადგენილია სამშენებლო გამოყენების პირობები, რომელიც არ წარმოადგენს მომავალი მესაკუთრისათვის სამშენებლო განვითარების აუცილებელ პირობას, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2023 წლის 24 ნოემბრის დასკვნის შესაბამისად:

- ✓ შპს „ბახტრიონი 98-ის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ, 2023 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგინა 692 809 (ექვსას ოთხმოცდათორმეტი ათას რვაასცხრა) ლარი;
- ✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ, 2023 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შესადგინა 808 108 (რვაასრვა ათას ასრვა) ლარი.

მომხსენებლისვე მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვა მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად და სანაცვლოდ შპს „ბახტრიონი 98-ის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება, აქვე დასძინა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 115 299 (ას თხუთმეტი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით აღემატება შპს „ბახტრიონი 98-ის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილია შპს „ბახტრიონი 98-ის" თანხმობა - გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე და გამოხატულია მზაობა განხორციელდეს საპრივატიზებო საფასურის 115 300 (ას თხუთმეტი ათას სამასი) ლარის გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარის, სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა და შენარჩუნება, სპორტული და გამაჯანსაღებელი სივრცეების მოწყობა და მათი შემდგომი დაცვა, ხოლო, დედაქალაქის ეკოლოგიური

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეულია შპს „ბახტრიონი 98-ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და გადაწყვიტა, გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის შესათანხმებლად წარმოდგენა, საპრივატიზებო საფასურად კი მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობის განსაზღვრით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის სათანადო რედაქციით ჩამოყალიბებისა და პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-5 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №48-ში, პირველ სართულზე მდებარე 20.25 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ზურაბ გვილავასთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე, დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობამ და წარუდგინა შემდეგი მოძიებული ინფორმაცია:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 4 მარტის ბინაზე გამოცხადების ოქმების გლდანის რაიონის ინფორმაციითა და ფიზიკური პირების 2023 წლის 10 მარტის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადების მიხედვით, ზურაბ გვილავა 2006 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ზურაბ გვილავა დევნილად რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულისა და გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა № 48-ში, პირველ სართულზე მდებარე 20.25 კვ. მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ზურაბ გვილავასთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტისთვის ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
6 ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-6 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე, საერთო ჯამში 317.04 კვ.მ, უძრავი ქონების, შემდეგი მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ მზევინარ ბაზაძეს - 67.29 კვ.მ; მუხრან მიხელიძეს - 67.85 კვ.მ; მედეა გოცირიძეს - 67.85 კვ.მ; თეონა გოცაძეს -100.76 კვ.მ; ბელა ბაქრაძეს - 67.29 კვ.მ;

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის V სამმართველოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ პირები მისამართზე დაახლოებით 12 წელია ცხოვრობენ, ასევე, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ მოძიებული ინფორმაციით - 2010-2014 წლებიდან - დღემდე, ხოლო, სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობით - 2010 წლიდან - დღემდე. ამასთან, მომხსენებლის მითითებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ 2023 წლის 17 მაისს წერილობით მიმართა სსიპ - ქონების

მართვის სააგენტოს და აცნობა, რომ ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე კორპუსი, რომელიც იყო შავი კარკასის მდგომარეობაში, 2010 წლიდან თვითნებურად დაიკავეს მოქალაქეებმა და საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოიყვანეს, ვინაიდან, აღნიშნული მოქალაქეები ითხოვენ თვითნებურად დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებას, მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გაუწია მითითებულ საკითხს.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ქალაქ თბილიცის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
7. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-7 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევის N1-ში, მე-3 სართულზე 45.48 კვ. მ. ფართის ბინა N22-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად მოქალაქე იმედი ცაცანიძისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე, დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, მითითებული მოქალაქის განცხადების საფუძველზე, გლდანის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა საკითხთან დაკავშირებით მოძიებული შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობის (18/11/2022წ) მიხედვით, იმედი ცაცანიძე ოჯახთან ერთად დაახლოებით 25-30 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ასევე, გლდანის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილების მოკვლევითა და სანოტარო წესით დამოწმებული, მოწმეთა ჩვენებების მიხედვით - 1995 წლიდან;

✓ იმედი ცაცანიძის ოჯახის წევრს - თეონა სოლომონიძეს, თანასაკუთრებაში ერიცხება ადიგენის რაონში, სოფელ ციხისუბანში არსებული მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობასთან ერთად;

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, იმედი ცაცანიძე და მისი ოჯახის წევრები არ წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალსიწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-8 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N14-ში, მე-4 სართულზე16.65 კვ.მ უძრავი ქონების, მოქალაქე ნანა სიმონიასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ შუამდგომლობას თან ახლდა, აღნიშნული გამგეობის მიერ მოძიებული შემდეგი ინფორმაცია:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის X სამმართველოს 2022 წლის 18 აპრილს გაცემული დოკუმენტაციით, ნანა სიმონია დაახლოებით 2002-2003 წლებიდან ცხოვრობს, ამასთან, აღნიშნული პირის მიერ ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს გლდანის რაიონის გამგეობის - გლდანის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილება და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა;

✓ სსიპ - დევნილთა, ეკონომიკურ-ტექნიკურ საკითხთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, 2022 წლის 9 მარტს, გაცემული ინფორმაციით, მოქალაქე ნანა სიმონია დევნილად რეგისტრირებული არ არის;

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ნანა სიმონიაზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოიწონა და გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
9. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-9 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა N34-ში, ბინა N7-ში არსებული 57.52კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ლიანა თედეევისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნული მოქალაქის განცხადების საფუძველზე, გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა შუამდგომლობა და შემდეგი მოკვლეული ინფორმაცია:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს 2023 წლის 7 მარტს გაცემული დოკუმენტებით, ლიანა თედეევი ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, შუშის ქუჩა N34-ში, ბინა N7-ში 1978 წლიდან დღემდე, აღნიშნულს ასევე ადასტურებენ, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2023 წლის 24 თებერვალს გაცემული

ინფორმაციით, ლიანა თედეევი და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან;

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ლიანა თედეევისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
10. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-10 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №3-ში, კორპუს №2-ში, მე-2 სართულზე 23.68 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ცისნამი გაბუნიასთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დაამატა, რომ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, საბურთალოს რაიონის გამგეობის შუამდგომლობა წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარედგინა შემდეგი სახის მოძიებული ინფორმაცია:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2023 წლის 7 ივლისის ბინაზე გამოცხადების შესახებ ოქმების თანახმად, ცისნამი გაბუნია დაახლოებით 23 წლის განმავლობაში ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ამასთან, საბურთალოს რაიონის გამგეობის ინფორმაციით, აღნიშნული პირი ცხოვრობს - 2004 წლიდან, ხოლო, სანოტარო წესით დამოწმებული ფიზიკური პირების განცხადებით - 2000 წლიდან.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, იმსჯელა და

მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
11. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-11 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-9 კვარტლის კორპუს N5-ში, პირველ სართულზე, 28.89 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე დავით ბარნაბიშვილისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ აღნიშნული მოქალაქის განცხადების საფუძველზე, მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მიეწოდა აღნიშნული გამგეობის მიერ მოძიებული შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს 2023 წლის 6 ივნისის წერილისა და ოქმების თანახმად, დგინდება, დავით ბარნაბიშვილის მიერ ზემომითითებულ მისამართზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი, ამასთან, სამგორის რაიონის გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილების 2023 წლის 19 აპრილის ადგილზე შემოწმების აქტისა და შესაბამისი მოქალაქეების, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, დასტურდება დავით ბარნაბიშვილისა და მისი ოჯახის წევრების მიერ მისამართზე 1995 წლიდან დღემდე ცხოვრების ფაქტი;
- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავით ბარნაბიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, იმსჯელა და

მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტური და შინაარსობრივი თვალსაზრისით გამართვის მიზანშეწონილობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
12. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-12 საკითხად განსაზღვრული, დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, შარტავას ქ. N4 და N6 კორპუსებს შორის მდებარე 4 კვ.მ. და 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, აქვე დაამატა, რომ დაინტერესებულმა პირმა - შპს „თ და კ რესტორნებმა" განცხადებით მიმართა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემომითითებული მიწის ნაკვეთების 10 წლის ვადით, იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ასევე დასძინა, რომ აღნიშნული კომპანია 10 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით უკვე ფლობს შარტავას ქ. N4ა-სა და N4ბ-ში არსებულ უძრავ ქონებას.

მომხსენებლის განმარტებით, მოთხოვნილ მიწის ნაკვეთებზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში მიწის ნაკვეთები გაცემულ იქნას იჯარის ფორმით, ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის აგრეთვე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების პირობით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 19.12.2023წ. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების ცალ-ცალკე წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა: 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის - 960 ლარის ოდენობით; ხოლო 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის - 2160 ლარის ოდენობით (ჯამურად: 3 120 ლარი).

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაინტერესებაში არსებული ზემოღნიშნული მიწის

ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ იჯარის ფორმით, მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 3 120 (სამი ათას ას ოცი) ლარის ოდენობით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
13. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-13 საკითხად განსაზღვრული, **დედაქალაქის საკრებულოში ქალაქ თბილისის** მუნიციპალიტეტის **მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც** ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N41-ის მიმდებარედ 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, მოქალაქე რომიკ კაბაჯიანისთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დაამატა, რომ აღნიშნულმა მოქალაქემ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქ. N41-ის მიმდებარედ არსებულ 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე იჯარის უფლების გაგრძელება, 5 წლის ვადით, რადგან, მითითებულ პირს, მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა იჯარით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში ასასვლელი კიბის მოწყობის მიზნით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გაცემასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური სამსახურმა დადებითი პოზიცია გასცა, ამასთან, სსიპ - ქ. **თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია** მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გაცემა, ვინაიდან, განსახილველი ტერიტორიის მოთხოვნილი ფუნქციით განვითარება არ აისახება უარყოფითად მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო, შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფის კუთხით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 19 დეკემბრის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2304 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რომიკ კაბაჯიანისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2304 ლარის ოდენობით, 5 წლის ვადით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-14 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39³ მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (1365 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 12 იანვრის განცხადებით შესაბამისმა დაინტერესებულმა პირმა (უმრავი ქონების მესაკუთრემ) ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე საკადასტრო ერთეულზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, აქვე დაამატა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 სექტემბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, იმავე სამსახურის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.3), ხოლო, განმცხადებლის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.3-დან კ-2=3.1-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებელმა ინფორმაციული თვალსაზრისით აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 9 იანვრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2 197 721 ლარს, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მ/წლის 16 იანვრის წერილის

თანახმად, ზემოაღნიშნული ფორმულის მიხედვით, N01.13.06.006.078 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთზე კ2 კოეფიციენტის 2.3-დან 3.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 764,424.70 (შვიდას სამოცდაოთხი ათას ოთხას ოცდაოთხი და სამოცდაათი მეასედი) ლარს.

ნინო ბაგაშვილმა შემაჯამებელი თვალსაზრისით მიუთითა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაზღვრის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა:

✓ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება ხდება კ-2=2.3 დან კ-2=3.1 მდე;
✓ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
✓ დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 764,424.70 (შვიდას სამოცდაოთხი ათას ოთხას ოცდაოთხი და სამოცდაათი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე;
✓ დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
✓ დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
✓ განკარგულების პროექტის მიხედვით ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გაიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების გამართვის და პროექტის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტების ტექნიკურად გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტისთვის ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
15. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-15 საკითხად განსაზღვრული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების მოქმედი რედაქციის 39^3 მუხლის თანახმად, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნებისათვის, ხელშემწყობი ღონისძიებებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება:

✓ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციაში/ჩანაცვლებაში მონაწილეობა;

✓ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდა

✓ ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია გამოყენებული იქნას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე, გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული მიწის ნაკვეთებისა.

ნინო ბაგაშვილის მითითებით, დადგენილების პროექტის შესაბამისად, ზემომითითებულ მუხლს ემატება ახალი პუნქტი,რაც ადგენს, რომ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც სათანადო

პუნქტის შესაბამისად, ხელშემწყობი ღონისძიებების სახით გამოყენებულ იქნა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება, გადამეტებულ ფართზე არ გავრცელდება ამ წესით გათვალისწინებული სიმაღლესთან დაკავშირებული რეგულაციები.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 39[3] მუხლის ახლებურ რედაქციაში ნაცვლად - 31-ე მუხლსა და სიმაღლის ნაწილში მითითებისა, მიეთითოს - ზოგადად, სიმაღლის რეგულაციისგან გათავისუფლების საკითხი.

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტისთვის ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
16. ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-16 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-75 დადგენილებით, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და

საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება) და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში – სააგენტო) მიერ გაწეული ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახეების ჩამონათვალს დაემატა ,,მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურება“ (,,ნ“ ქვეპუნქტი), ასევე, დადგენილების მეორე პუნქტით დამტკიცებულ სააგენტოს მიერ გაწეული ზოგიერთი მომსახურების პირობას, საფასურის ოდენობასა და მათ დაანგარიშების წესს დაემატა ,,მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესი“ (დანართი №13)“ (,,ნ“ ქვეპუნქტი). ზემოაღნიშნული ცვლილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 1 თებერვალი.

როგორც ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, სააგენტოს მიერ, მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების დასანერგად, ინტენსიურად ხორციელდება კვალიფიციური კადრების მომზადება, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი დრო და რესურსი. ამ ეტაპზე, სააგენტოსთვის თვალსაჩინო გახდა, მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების დასანერგად შესაბამისი პირების მოსამზადებლად უფრო მეტი დროის საჭიროება, აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით იცვლება, დადგენილების მეორე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ,,მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტისა“ და ,,მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესის“ ამოქმედებასთან დაკავშირებული ვადა, რომელიც 2024 წლის 1 თებერვლის ნაცვლად, განისაზღვრება 2024 წლის 1 აპრილით.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება დადგენილების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ზე გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტისთვის ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

▪

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიმართა და აღნიშნა, რომ მის, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან კომისიის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს ამავე კომისიის წევრი - არჩილ გორდულაძე.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი არჩილ გორდულაძის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას შემსულებლად განსაზღვრის საკითხს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი